

# კონკურენცია საბანკო სექტორში

*ბერიძე ლაშა – პედაგოგი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

## Competition in the Banking Sector

*Beridze Lasha – Invited Specialist, Department of Business Administration, Shota Rustaveli State University, Batumi, Georgia*

### Abstract

#### Introduction and aim

Bank activities are evaluated as one of the most successful activities and even more, bank sector in Georgia is of high standards according to service delivery quality but it is necessary to identify at what level success of bank sector is stipulated by competitive environment. Therefore the aim of the research is to study competitiveness at bank sector of Georgia based on the national and foreign approaches.

#### Research methodology

Georgian legislation uses the method widely spread around the world Herfindahl-Hirschman Index (HHI), which studies competitiveness according to shares of economic agents existing at market. It is worth mentioning that the approach is structural method and is a simple way to set the competitiveness level but as modern scientists state the mentioned approach gives not just presumable result but in some cases the results received by using the above-stated approach are totally different from the actual conditions at market. Therefore non-structural method is discussed under the present research which is regarded as more accurate method for identifying competitiveness level at market and which is called N-statistic. The present research also studies dominance conditions according to total assets.

#### Results and implications

According to structural method given under the given research (HHI) the banking market in Georgia is moderately monopolized. In case in the future the process of merging commercial banks continues banking market will become highly monopolized. With the method of total assets (CR1, CR3, CR5) banking market violates rules of competitiveness under the legislation regarding to dominance conditions.

#### Conclusion

HHI used under the research is not deemed as the universal method setting competitiveness at bank sector and in foreign practice the same non-structural models are more frequently used (For instance: N-statistic), which creates more accurate method for setting bank competitiveness. by the examples discussed under the research it is vivid that bank market is rich and two commercial banks are dominant among them the market conditions of which violates rules set for the competitiveness of the banks during monopolic and oligopolic market researches as well. the mentioned conditions needs effective monitoring from National bank and competitiveness Agency (After July 03-th 2015 – Financial Supervision Agency).

**Keywords:** Herfindahl-Hirschman Index (HHI), Concentration ratio (CR1, CR3, CR5), Concentration (competition), Dominant position etc.

**მესავალი და მიზანი:** საბანკო საქმიანობა ფასდება როგორც ერთ-ერთი წარმატებული, უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ საბანკო საქმიანობა საქართველოში მომსახურების მიღების მიხედვით მიიჩნევა მაღალსტანდარტიზებულად, მაგრამ მნიშვნელოვანია იმის დადგენა თუ რამდენად არის განპირობებული საბანკო სექტორის წარმატებულობა კონკურენციის შედეგით. შესაბამისად, ნაშრომის მიზანია ეროვნული და უცხოური მიდგომის საფუძველზე გამოკვლეულ იქნას საქართველოს საბანკო სექტორში კონკურენცია.

**კვლევის მეთოდოლოგია:** ქართული კანონმდებლობა იყენებს მსოფლიოში ფართოდ გავრცელებულ მიდგომას ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის (HHI) სახით, რომელიც იკვლევს კონკურენციას ბაზრის მონაწილე ეკონომიკური აგენტების წილების მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ მიდგომა მიეკუთვნება სტრუქტურულ მეთოდს და წარმოადგენს კონკურენციის დამდგენ მარტივ ხერხს, მაგრამ როგორც თანამედროვე მეცნიერები აღნიშნავენ აღნიშნული მიდგომა ხშირად იძლევა არა თუ სავარაუდო, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში ასეთი მიდგომით მიღებული შედეგი ეწინააღმდეგება ბაზარზე არსებულ რეალურ მდომარეობას. შესაბამისად, ნაშრომში განხილულია არასტრუქტურული მოდელი, რომელიც

მიიჩნევა კონკურენციის დამდგენ უფრო ზუსტ მეთოდად და რომელსაც ეწოდება N-statistic. ნაშრომში ასევე წარმოდგენილია დომინირებული მდგომარეობის კვლევა მთლიანი აქტივების მიხედვით.

**შედეგები და გამოყენება:** ნაშრომში წარმოდგენილი სტრუქტურული მეთოდის მიხედვით (HHI) საქართველოში საბანკო ბაზარი ზომიერად მონოპოლიზირებული ფარგლებშია. მომავალში თუ გაგრძელდა კომერციული ბანკების შერწყმის პროცესი, საბანკო ბაზარი გახდება მაღალმონოპოლიზირებული. მთლიანი აქტივების მეთოდით (CR1, CR3, CR5), საბანკო ბაზარი არღვევს კონკურენციის კანონმდებლობის დანაწესებს დომინირებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

**დასკვნა:** ნაშრომში გამოყენებული ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი (HHI) არ მიიჩნევა საბანკო სექტორში კონკურენციის დამდგენ უნივერსალურ მეთოდად და უცხოურ პრაქტიკაში უფრო აქტიურად გამოიყენება იგივე არასტრუქტურული მოდელები (მაგ: N-statistic), რომელიც აწესებს საბანკო კონკურენციის დამდგენ უფრო დახვეწილ მეთოდს, საქართველოს მაგალითზე ნაშრომში გამოკვლეული მეთოდებითაც ნათლად ჩანს თუ როგორ მაღალკონცენტრირებულია საბანკო ბაზარი და ამკარად იკვეთება დომინირება ორი წამყვანი კომერციული ბანკისა, რომელთა საბაზრო მდგომარეობა ამკარად არღვევს კონკურენციის დამდგენ წესებს, როგორც მონოპოლიური, ასევე ოლიგოპოლიური ბაზრის კვლევისას, აღნიშნული კი საჭიროებს, როგორც ეროვნული ბანკის (2015 წლის 03 ივლისის შემდეგ - საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო) ასევე კონკურენციის სააგენტოს მხრიდან ეფექტურ მონიტორინგს.

**საკვანძო სიტყვები:** ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი (HHI), კონცენტრაციის თანაფარდობა (CR1, CR3, CR5), კონცენტრაცია (კონკურენცია), დომინანტური მდგომარეობა

როგორც ყველა ბაზრისთვის, ისე საფინანსოებისთვის დამახასიათებელია კონკურენტული ურთიერთობების არსებობა მასში მონაწილე მხარეებისათვის. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მნიშვნელოვანია ისეთი ბერკეტების არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს კონკურენტული გარემოს არსებობასა და დაცვას, რადგან ხშირ შემთხვევაში მონოპოლიური გარემოს არსებობა სხვადასხვა ბაზრისათვის უზრუნველყოფს, როგორც ინდივიდუალური პირების დაზარალებას, ასევე მნიშვნელოვნად აზარალებს სახელმწიფო ეკონომიკის განვითარებას. შესაბამისად, უნდა არსებობდეს ისეთი სახელმწიფო და სამართლებრივი რესურსი, რომელიც გამოავლენს კონკურენციის დარღვევის ფაქტს და რომელსაც ექნება პრევენციის ფუნქცია. აღნიშნულის განხორციელება შეიძლება გასხვავდებოდეს სირთულისა და კომპლექსურობის გამო, მითუმეტეს თუ ეს ეხება საბანკო სექტორს.

საბანკო სექტორის აქტივების მოცულობა დღეისათვის შეადგენს ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტის 70.6%-ს, ხოლო საკრედიტო პორტფელის მოცულობა კი – 43,6%. [1] ქვეყნის საბანკო ბაზარზე წარმოდგენილია 21 ბანკი, რომელთა რაოდენობა შემცირდა ბოლო პერიოდში განხორციელებული ორი შერწყმის შედეგად. საბანკო ბაზარზე კონკურენცია ატარებს გარკვეულ სპეციფიკურ ნიშნებს, რითაც იგი განსხვავდება სხვა ბაზრებზე არსებული კონკურენციებისაგან. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ საბანკო ბაზარი ოპერირებს ფულით, აბსოლუტური ლიკვიდურობის მქონე საქონლით, რომლის ჩანაცვლება სხვა საქონლით შეუძლებელია. შესაბამისად, ფული არ წარმოადგენს ელასტიური მოთხოვნის საქონელს. მეორე მნიშვნელოვანი თავისებურება დაკავშირებულია საბანკო სექტორში ფინანსური კაპიტალის მობილობასთან. განსხვავებით სხვა სახის კაპიტალისაგან ფინანსური კაპიტალი უფრო მეტად არის მობილური, ვიდრე ფიზიკური საქონელი, რადგან მას შეუძლია უფრო სწრაფად განერიდოს იმ ქვეყნებს, სადაც მაღალია გადასახადები და მკაცრი საბანკო რეგულირების მექანიზმი გამოიყენება. როგორც სხვა, ასევე საბანკო ბაზრის კონკურენცია მოექცა 2012 წელს მიღებული საქართველოს კანონის “კონკურენციის შესახებ” ნორმების ფარგლებში. [2]

კონკურენციის სააგენტოს მიერ შემუშავებული ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები [3] ატარებს ზოგად ხასიათს და გამოიყენება ყველა ტიპის ბაზრებისათვის. საქართველოში ჯერ-ჯერობით არ გამოიყენება საბანკო ბაზრის კონკურენციის დონის ანალიზის სპეციალური სპეციფიკური მეთოდოლოგია. გამომდინარე აქედან, დღის წესრიგში დადგა იმის დადგენა, თუ რამდენად ზუსტად ასახავს ბაზრის კონცენტრაციის განსაზღვრის არსებული საკანონმდებლო წესები საქართველოს საბანკო ბაზარზე არსებულ მდგომარეობას. ბაზრის ანალიზისათვის გამოყენებულ იქნა კონკურენციის სააგენტოს მიერ შემოთავაზებული მეთოდური მითითებები. [3] კონკურენციის სააგენტოს მეთოდური მითითებების ერთ-ერთი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ საკრედიტო რესურსების ბაზრის მოცულობაში ჩართულია არა მხოლოდ კომერციული ბანკების, არამედ არასაბანკო საკრედიტო

დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების საკრედიტო აქტივები. თუ რითი არის განპირობებული კომერციული ბანკების კონკურენტი საკრედიტო ბაზრის ისეთი მონაწილეების, როგორცაა მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები, ე.წ. ონლაინ გამსესხებლები და სხვათა საკრედიტო აქტივების გამორიცხვა საკრედიტო ბაზრიდან, ალბათ დამატებით არგუმენტირებას საჭიროებს. რაც შეეხება საბანკო სექტორის მიერ გაწეული მომსახურების შეფასებას, სრულიად სამართლიანია კონკურენციის სააგენტოს მიდგომა საბანკო-საკრედიტო აქტივებთან ერთად შეფასებულ იქნას მათი არასაკრედიტო საქმიანობაც. კონკურენციის სააგენტოს მიერ დადგენილია, რომ “საკრედიტო რესურსების ბაზარზე კომერციული ბანკების წილის ოდენობა განისაზღვრება ბანკის აქტივების შეფარდებით ბაზრის მოცულობასთან”. [2, მუხლი 17] შესაბამისად, საკრედიტო აქტივების ბაზარზე უნდა შეფასდეს ბანკების აქტივები, რომლებიც ბევრად უფრო ფართო ცნებაა და, საკრედიტო აქტივების გარდა, მოიცავს სხვა სახის აქტივებსაც. აშკარა შინაარსობრივი და ეკონომიკური შეუსაბამობა, შესაძლოა, არის ეკონომიკური ტერმინების აღრევის შედეგი, რაც ასევე მოითხოვს დამატებით განმარტებას და კორექტირებას.

კონკურენციის სააგენტოს მიერ განსაზღვრულია მხოლოდ სასაქონლო ბაზრის კონცენტრაციის დონე, რომელიც “წარმოადგენს ბაზრის ხარისხობრივ მახასიათებელს და აფასებს ეკონომიკური აგენტის წილების ურთიერთთანაფარდობასა და მათი განაწილების სიმჭიდროვეს ბაზარზე”. [2, მუხლი 18] უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობაში “ბაზრის მონოპოლიზაციის” ცნება ჩანაცვლებულია “ბაზრის კონცენტრაციის” ცნებით, რომლებიც ერთმანეთის იდენტურია. ამიტომ ნაშრომში გამოყენებული იქნება ბაზრის მონოპოლიზაციის ცნება, ვინაიდან იგი, დღეისათვის არსებული რეალობიდან გამომდინარე, უფრო ობიექტურად ასახავს საქართველოს ეკონომიკაში არსებულ კონკურენტულ გარემოს. ბაზრის დარგის მონოპოლიზაციის მაჩვენებლის გამოსათვლელად კონკურენციის სააგენტო იყენებს ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსს [4], რომელიც შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:  $HHI = \sum_{j=1}^n D_n^2$ , სადაც  $n$  არის ბაზარზე საქონლის მიმწოდებელთა ჩამონათვალი,  $D_n$  –  $n$  - ური მიმწოდებლის წილი ბაზარზე, რომელიც გამოითვლება შემდეგნაირად:  $D_n = \sum_{j=1}^n \frac{V_j}{V_m} * 100\%$ , სადაც  $V_j$  არის მიმწოდებლის საქონლის რეალიზაციის მოცულობა, ხოლო  $V_m$  – ბაზრის მთლიანი მოცულობა.

ამრიგად, ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი (HHI) არის ბაზრის მონოპოლიზაციის დონის მაჩვენებელი, რომელიც განისაზღვრება როგორც ბაზრის ყველა მონაწილის წილების კვადრატების ჯამი. ამ ინდექსს ფართო გამოყენება აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგალითად, ისეთი შემთხვევების დროს, როდესაც ფირმები საჭიროებენ ნებართვას შერწყმაზე ან შთანთქმაზე. ნაშრომში ჩატარებულ იქნა კვლევა, რომელმაც მოიცვა ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის საფუძველზე საბანკო ბაზრის კონცენტრაციის დონის განსაზღვრა საკრედიტო რესურსებისა და საერთო აქტივების ანალიზის მეთოდების გამოყენებით. კვლევას საფუძველად დაედო საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ოფიციალურად გამოქვეყნებული საბანკო სექტორის სტატისტიკა. ამასთან, საბანკო სექტორში მიმდინარე ბოლო პერიოდის ტენდენციების გათვალისწინებით, რომელიც ხასიათდება ბანკების შერწყმის პროცესით, „თიბისი ბანკი“-სა და „ბანკი კონსტანტა“-ს მონაცემები, აგრეთვე, „საქართველოს ბანკის“-სა და „პრივატ ბანკი“-ს მონაცემები გაერთიანებულ იქნა. გათვლებში გამოყენებულ იქნა სტატისტიკური მონაცემები 2014 წლის მე-3 კვარტალის მდგომარეობით, კვლევის მომენტისათვის უახლესი ოფიციალური ინფორმაციის არარსებობის გამო. ნაშრომში გაანგარიშებული საბანკო ბაზრის კონცენტრაციის დონე მოცემულია ცხრილი 1-ში.

კონკურენციის სააგენტოს მეთოდოლოგიით ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის საფუძველზე ბაზრების კონცენტრაციის დონეები განისაზღვრება შემდეგნაირად: დაბალკონცენტრირებული –  $HHI < 1250$ , ზომიერადკონცენტრირებული –  $1250 < HHI < 2250$ , მაღალკონცენტრირებული  $HHI > 2250$ . მიღებული შედეგის თანახმად, საკრედიტო ბაზრისათვის  $HHI = 2195$ , ხოლო საბანკო მთლიანი აქტივების მეთოდით  $HHI = 2225$ . შესაბამისად, საბანკო ბაზარი, შეფასებული ორივე მეთოდით, ზომიერად მონოპოლიზირებულის ფარგლებშია, თუმცა მისი კონცენტრაცია მიღწეულია ზედა კრიტიკულ ზღვარს, რომლის იქით ბაზარი ხდება მაღალმონოპოლიზირებული. მომავალში თუ გაგრძელდა კომერციული ბანკების შერწყმის პროცესი, ინდექსი ადვილად გადალახავს 2250 ნიშნულს და გახდება მაღალმონოპოლიზირებული.

ჩვენს გაანგარიშებებში ვერ მოხერხდა კომერციული ბანკების არასაკრედიტო საქმიანობის შეფასება სრულყოფილი სტატისტიკური ინფორმაციის არარსებობის გამო. თუმცა, ექსპერტული შეფასებით, შესაძლებელია დიდი ალბათობით იმის ვარაუდი, რომ ყველა ფაქტორის გათვალისწინებით HHI

ინდექსი ბევრად უფრო მაღალი იქნება მაღალკონცენტრირებული ბაზრის ქვედა დონის მაჩვენებელზე.

ცხრილი 1.

საბანკო ბაზრის კონცენტრაციის დონის გაანგარიშება  
ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის (HHI) საფუძველზე[5]

კომერციული ბანკები	წმინდა სესხების მეთოდი		მთლიანი აქტივების მეთოდი	
	$D_n$	$D_n^2$	$D_n$	$D_n^2$
ბანკი რესპუბლიკა	6%	36	6%	36
თიბისი ბანკი	28%	784	27%	729
საქართველოს ბანკი	35%	1225	36%	1296
ლიბერთი ბანკი	7%	49	8%	64
ბაზის ბანკი	2%	4	1%	1
ვითიბი ბანკი ჯორჯია	5%	25	5%	25
ბანკი ქართუ	4%	16	4%	16
პროკრედიტ ბანკი	7%	49	6%	36
სილკ როულ ბანკი	0%	0	1%	1
კაპიტალ ბანკი	0%	0	0%	0
აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი - საქართველო	1%	1	1%	1
ზირათ ბანკის თბილისის ფილიალი	0%	0	0%	0
კავკასიის განვითარების ბანკი - საქართველო	0%	0	0%	0
თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალი	0%	0	0%	0
პროგრეს ბანკი	0%	0	0%	0
კორ სტანდარტ ბანკი	2%	4%	3%	9
ხალიკ ბანკი საქართველო	1%	1%	1%	1
პაშა ბანკი საქართველო	0%	0%	1%	1
ფინკა ბანკი საქართველო	1%	1%	1%	1
სულ, HHI		HHI=2195		HHI=2225

კონკურენციის დონის განსაზღვრის მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს, რომ ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის მეშვეობით განსაზღვრული ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელი კონკურენციის დონის დადგენისათვის ხშირად არ იძლევა სასურველ შედეგს. ასე, მაგალითად, შაფერმა და დისალვომ[6] გამოავლინეს შემთხვევები, როდესაც ბანკებს გააჩნდათ ბევრად უფრო მაღალი ძალაუფლება, ვიდრე იგი იყო განსაზღვრული საბაზრო სტრუქტურით. გარდა ამისა, კლავენსმა და ლივენმა[7] განვითარებადი და განვითარებული ქვეყნების ბანკების მაგალითზე დაადგინეს, რომ რიგი ბანკის ქცევა არის უფრო კუნკურენტუნარიანი, ვიდრე იგი იყო განსაზღვრული ამ ბანკებისათვის დამახასიათებელი საბაზრო სტრუქტურით.

თანამედროვე მეცნიერები უფრო მეტი პოპულარობით კვლევას იყენებენ არასტრუქტურულ მოდელებს, რომელიც საშუალებას იძლევა კონკურენცია გავაანალიზოთ ბაზრის მონაწილეების მიერ მომსახურებაზე ფასის წარმოქმნის მეშვეობით. ამ მოდელების უმრავლესობა ეფუძნება მონოპოლიურ ძალაუფლებას, რომლის ცნება შემოღებულ იქნა ა. ლერნერის მიერ 1934 წელს.[8] არასტრუქტურული მოდელები ძირითადად ეყრდნობა წონასწორობითი ბაზრის სტატისტიკურ თეორიას, სადაც ფირმების მიერ ფასის დადგენა ხდება ხარჯების საფუძველზე (mark-up pricing) ემპირიულ ანალიზში ფართო გავრცელება ჰპოვა ჯ. პანზარისა და ჯ. როსის მოდელმა, რომელიც შემუშავდა 1987 წელს და ეწოდება H-statistic.[9]

პანზარ-როსის H-statistic მიდგომით შესაძლებელი ხდება გაზომილ იქნას ფაქტორული ფასების ცვლილების ასახვის დონე ბანკის შემოსავლის ცვლილებაზე. ამისათვის, თავდაპირველად ხდება ბანკის

საპროცენტო და არასაპროცენტო შემოსავლების ელასტიურობის ეკონომეტრიკული შეფასება შემდეგი სამი ფაქტორის მიხედვით: მოზიდული სახსრების ღირებულება (AFR – Average Funding Rate), შრომითი რესურსების ღირებულება (PPE – Price of Personnel Expen) და სხვა ხარჯების ღირებულება (PONILE – Price of Other Non Interest and Labor Expen). შემდეგ ხდება შეფასებული ელასტიურობების დაჯამება და შედეგად მიიღება H-statistic მაჩვენებელი.

პანზარ-როსის თანახმად, რაც უფრო მაღალია შემოსავლების ელასტიურობა, მით უფრო მეტად არის ბაზარი კონკურენტუნარიანი. შესაბამისად, მონოპოლიური ან ოლიგოპოლიური ბაზრისათვის H-statistic არის უარყოფითი  $H < 0$ , მონოპოლიური კონკურენციის არსებობისას ეს მაჩვენებელი ვარირებს ნულიდან ერთამდე დიაპაზონში  $0 < H < 1$ , ხოლო სრულყოფილი კონკურენციის დროს მაჩვენებელი ერთის ტოლი უნდა იყოს  $H = 1$ . [10] მონოპოლიური ბაზრის პირობებში H-statistic იღებს უარყოფით ან ნულოვან მნიშვნელობას იმის გამო, რომ მონოპოლისტის შემოსავალი საწინააღმდეგო მიმართულებით რეაგირებს წარმოების ფაქტორების ღირებულების ცვლილებებზე. H-statistic აგრეთვე შეიძლება იყოს უარყოფითი, როდესაც ბაზარზე არსებობს მოკლევადიანი ოლიგოპოლია.

H-statistic ტოლია ერთის, როდესაც საბაზრო სტრუქტურა ფასდება, როგორც სრულფასოვანი კონკურენცია. კონკურენტუნარიან ბაზარზე წარმოების ყველა ფაქტორის ღირებულების ცვლილება პროპორციულად იწვევს, როგორც ზღვრული, ასევე საშუალო ხარჯების ზრდას, რომელიც უცვლელად ტოვებს გაწეული მომსახურების მოცულობას წარმოების ფაქტორების ღირებულების ცვლილების პირობებში. ბანკმა რომ გაუძლოს გამკაცრებულ საბაზრო პირობებს, უნდა გაზარდოს ფასები თავის მომსახურებაზე, სანამ არ გადაიფარება გაზრდილი ხარჯები. ფასის ადაპტაციის პირობებში არაეფექტური ბანკები უნდა გახდნენ უფრო მეტად ეფექტურები ან გავიდნენ ბაზრიდან. ბანკების შემცირება ზრდის მოთხოვნას ბაზარზე დარჩენილი ბანკების მომსახურებაზე, რაც იწვევს მათ მომსახურებაზე ფასების ზრდას.

როდესაც H-statistic მდებარეობს ნულსა და ერთს შორის, ასეთი ბაზარი ხასიათდება როგორც მონოპოლიური კონკურენცია. აღნიშნული ნიშნავს, რომ ყოველ ბანკს ჰყავს მუდმივი კლიენტი და რეაგირებს სხვა ბანკების საპროცენტო პოლიტიკისა და მომსახურების ცვლილებებზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ბანკები მოქმედებენ როგორც მონოპოლისტები, დაბალი აუნაზღაურებელი ხარჯები და არაკონკურენტუნარიანი მომსახურება უბიძგებს ბანკებს დააწესონ ისეთი ფასი, რომელიც მინიმუმადე შეამცირებს მათ მოგებას. ამ დროს ბანკის შემოსავლები იცვლება არაპროპორციულად წარმოების ფაქტორების ცვლილებასთან შედარებით.

H-statistic მოდელი აქტიურად გამოიყენება ემპირიულ კვლევებში, რადგან მას აქვს მთელი რიგი უპირატესობები. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ანალიზისთვის არ არის საჭირო ნაკლებად ხელმისაწვდომი მონაცემების არსებობა სექტორში არსებული ყველა ბანკის მომსახურების ღირებულებაზე. აგრეთვე არ არის საჭირო სტრუქტურული გამრავლებები, რომლებიც ახასიათებს ბანკის საწარმოო ფუნქციას. H-statistic მოდელი ასევე საშუალებას იძლევა შევავსოთ კონკურენცია ბანკების სახეობებს შორის, მაგალითად: კომერციული და დაგროვებითი, ადგილობრივი და უცხოური და სხვ.

საბანკო ბაზარზე კონკურენციის დონის შეფასებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას ბრენსაჰანის და ბაროს-მოდესტოს მოდელები. [11] აღნიშნული მოდელებით ხდება საბანკო სექტორის ცალკეულ სეგმენტებს შორის კონკურენციის დადგენა (კრედიტები, დეპოზიტები და სხვ.) ბრენსაჰანის მოდელი თავდაპირველად გამოიყენებოდა მხოლოდ რაოდენობრივი ოლიგოპოლიის აღწერისათვის, მაგრამ მნიშვნელოვან საკითხად რჩებოდა ის, თუ რამდენად უნდა განვიხილოთ საბანკო სექტორი რაოდენობრივ ოლიგოპოლიად. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ბანკების მოქმედება უფრო მეტად შეესაბამება ფასობრივ ოლიგოპოლიას. შესაბამისად, ცალკე გამოიყენება ბრენსაჰანის მოდელი რაოდენობრივი და ფასობრივი ოლიგოპოლიისათვის [12]. ბაროს-მოდესტოს მოდელის მიხედვით, ძირითადი ყურადღება ექცევა ბანკის მომსახურებაზე მოთხოვნას. მოთხოვნის ფუნქციის პარამეტრები განსაზღვრავს თუ რამდენად არის ცალკეული საბანკო დარგი მონოპოლიზირებული.

რაც შეეხება დომინირებული მდგომარეობას, კანონმდებლობის მიხედვით განმარტებულია, როგორც შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მათ საშუალებას აძლევს იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლისაგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინონ ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდონ კონკურენცია. თუ სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტები არ ჩაითვლებიან დომინირებული მდგომარეობის მქონედ, თუ შესაბამის ბაზარზე მათი წილი არ აღემატება 40 პროცენტს. ორი ან მეტი ეკონომიკური აგენტიდან თითოეული ჩაითვლება დომინირებული მდგომარეობის მქონედ, თუ ის არ განიცდის მნიშვნელოვან კონკურენციას სხვა ეკონომიკური

აგენტებისაგან მათი ნედლეულის წყაროებსა და გასაღების ბაზრებზე შეზღუდულ ხელმისაწვდომობას, ბაზარზე შესვლის ბარიერებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით და იმავდროულად:

1. არაუმეტეს 3 ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 50%-ს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15%.
2. არაუმეტეს 5 ყველაზე მნიშვნელოვანი წილის მქონე ეკონომიკური აგენტების ერთობლივი წილი 80%-ს აღემატება, ამასთანავე თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15%. [2]

ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებებით დადგენილია, რომ სასაქონლო ბაზარზე ჯგუფური დომინირების განსაზღვრისას ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსთან ერთად საჭიროების შემთხვევაში სასაქონლო ბაზრის შეფასებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებული სხვა ანალოგიური მაჩვენებლები. [3]

შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში ვიხელმძღვანელებთ მთლიანი აქტივების მეთოდით (Concentration ratio, CR2, CR3, CR5), რომლის მიხედვით საბაზრო წილი 2, 3 და 5 წამყვანი ბანკისა იქნება შემდეგნაირი:

1. CR2=63% (საქართველოს ბანკი - 36%, თიბისი ბანკი - 27%)
2. CR3=71% (საქართველოს ბანკი - 36%, თიბისი ბანკი - 27%, ლიბერთი ბანკი - 8%)
3. CR5=83% (საქართველოს ბანკი - 36%, თიბისი ბანკი - 27%, ლიბერთი ბანკი - 8%, ბანკი რესპუბლიკა - 6%, პროკრედიტ ბანკი - 6%). იხილეთ ცხრილი №1.

აღნიშნული მეთოდი არის ყველაზე მარტივი იმის გასაგებად თუ რამდენად არის ბაზარი კონცენტრირებული, რადგან ბაზარს იკვლევს მთლიანი აქტივების მეთოდით და არ გვჭირდება დამატებითი - არასტრუქტურული ინდიკატორების გამოყენება, მაგრამ აღნიშნულიც ნათლად აჩვენებს თუ რამდენად საჭიროებს ქართული საბანკო სისტემა კვლევას. აშკარად შეინიშნება ოლიგოპოლიური ბაზრისათვის დამახასიათებელი ნიშნები, რომელსაც აწესებს თვით კონკურენციის კანონმდებლობა. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით დაწესებულია გარკვეული პირობების იმპერატიულად არსებობა, მაგალითად, როგორცაა დამოუკიდებლად მოქმედება, მნიშვნელოვანი კონკურენციის არგანცდა სხვა ეკონომიკური აგენტებისაგან - ყოველივე აღნიშნული წარმოადგენს შეფასების საგანს, რომელიც „კონკურენციის სააგენტო“-ს მიერ შეიძლება განმარტებულ იქნას სხვადასხვაგვარად, მაგრამ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ აღნიშნული მეთოდი მიიჩნევა ყველაზე „მსუბუქ“ ინდიკატორად ოლიგოპოლიური ბაზრის კვლევისას და უფრო მძიმე შედეგებს უნდა ველოდოთ კონკურენციის სიღრმისეულად კვლევისას.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი (HHI) არ მიიჩნევა საბანკო სექტორში კონკურენციის დამდგენ უნივერსალურ მეთოდად და უცხოურ პრაქტიკაში უფრო აქტიურად გამოიყენება იგივე არასტრუქტურული მოდელები (მაგ: N-statistic), რომელიც აწესებს საბანკო კონკურენციის დამდგენ უფრო დახვეწილ მეთოდს, მაგრამ საქართველოს მაგალითზე ნაშრომში გამოკვლეული მეთოდებითაც ნათლად ჩანს თუ როგორ მაღალკონცენტრირებულია საბანკო ბაზარი და აშკარად იკვეთება დომინირება ორი წამყვანი კომერციული ბანკისა (CR2), რომელთა საბაზრო მდგომარეობა აშკარად არღვევს კონკურენციის დამდგენ წესებს, როგორც მონოპოლიური, ასევე ოლიგოპოლიური ბაზრის კვლევისას, აღნიშნული კი საჭიროებს, როგორც ეროვნული ბანკის (2015 წლის 03 ივლისი შემდეგ - საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო), ასევე კონკურენციის სააგენტოს მხრიდან ეფექტურ მონიტორინგს.

## ლიტერატურა და ინტერნეტ-წყაროები

1. [https://www.nbg.gov.ge/uploads/depozitarycorporeshenqartulad/money\\_aggregates\\_and\\_monetary\\_ratios\\_geo.xls](https://www.nbg.gov.ge/uploads/depozitarycorporeshenqartulad/money_aggregates_and_monetary_ratios_geo.xls), ხელმისაწვდომი: 15.09.2015 წ.

2. საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“.

3. კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის ბრძანება #30/09-3 “ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე”

<http://competition.ge/ge/page2.php?p=4&m=138>, ხელმისაწვდომი: 13.09.2015 წ.

4. Hirschman A. O., **National power and the structure of foreign trade** Expanded, writtend in 1945, published by University of California Press, Berkeley, USA, 1980

5. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=404>, ხელმისაწვდომი: 15.09.2015 წ.
6. Shaffer S., DiSalvo J. Conduct in a Banking Duopoly, *Journal of Banking and Finance*, N18, 1994, pp. 1063-1082.
7. Claessens S., Leaven L., Financial Dependence, Banking Sector Competition and Economic Growth, *Journal of the European Economic Association*, N1, 2005, pp. 179-207.
8. Lerner, Abba P., The Concept of Monopoly and the Measurement of Monopoly, *Review of Economic Studies*, N1, 1934, pp. 157-175.
9. Rosse J., Panzar J., Chamberlin vs Robinson: an empirical study for monopoly rents, *Bell Laboratories Economic Discussion Paper*, 1977.
10. Panzar J., Rosse J., Testing for "Monopoly" equilibrium, *Journal of Industrial Economics*, N35, 1987, pp. 443-456.
11. Bresnahan, T.F. "The Oligopoly Solution Concept is Identified", *Economic Letters*, vol. 10, 1982; Barros F., Modesto L. "Portuguese banking sector: a mixed oligopoly?", *International Journal of Industrial Organization*, 17, 1999.
12. Дробышевский С., Пащенко С., Анализ конкуренции в российском банковском секторе, Москва, ИЭПП, 2006 [http://www.iep.ru/files/text/working\\_papers/96.pdf](http://www.iep.ru/files/text/working_papers/96.pdf), ხელმისაწვდომი: 15.09.2015